ოქმი:**ო05. 3725360001**

თარიღი:**26/12/2025**

ოქმი N 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2025 წელი, 24 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14:00 საათი

თავმჯდომარეობდა: მარიკა ჩხიკვიშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლ.კილაძე, გ.მდინარაძე, გ.კილაძე, ნ.ნადირაშვილი, ლ. მესხი, თ. ქავთარია, ქ. კვაჭანტირაძე, ტ.არუშიძე, ე. გორდელაძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პ.ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

   თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. **"** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 2 მაისის N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

   მომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ მ. ჩხიკვიშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტთან დაკავშირებით. საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მოკლე მიმოხილვა წარმოადგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პ.ჭყონიამ , რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტი სხვადასხვა ფონდებიდან

მიღებული ფინანსური რესურსების ხარჯზე და შესაძლებელია ბიუჯეტის ზრდა გაგრძელდეს წლის ბოლომდეც. მისივცე განცხადებით, 4 500,0 ლარით გაიზარდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საკომპენსაციო თანხა. რაც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ასევე, გაიზარდა სკოლების მცირე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებული დაფინანსების ოდენობა.

პ. ჭყონიამ, კომისიის წევრებს, დამატებით მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების და ქვეპროგრამების დაფინანსების შესახებ. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე კონკრეტული შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მხარი დაუჭირა დადგენილებაში ცვლილებების შეტანას - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“.

კომისიის წევრებმა სხდომაზე წარმოდგენილი საკითხების შესახებ იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგის პირველი საკითხი განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას.
2. მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მხარი დაუჭირა დადგენილებაში ცვლილებებს - **“** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი